

განმარტებითი ბარათი

„საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსში“ ცვლილებებისა და დამატების შეტანის თაობაზე“ საქართველოს კანონის პროექტთან დაკავშირებით

ა) ზოგადი ინფორმაცია კანონპროექტის შესახებ

ა.ა) კანონპროექტის მიღების მიზეზი:

კანონპროექტის მიღების მიზეზი გამომდინარეობს ვეტერინარული დანიშნულების პრეპარატების რეგისტრაციასთან დაკავშირებული პროცედურებიდან, კერძოდ, „წამლისა და ფარმაცევტული საქმიანობის შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილებების შეტანის თაობაზე“ საქართველოს კანონის პროექტით ვეტერინარული დანიშნულების პრეპარატების რეგისტრაციას, წამლის სააგენტოს ნაცვლად, განახორცილებს საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტროს შესაბამისი სამსახური.

ა.ბ) კანონპროექტის მიზანი:

პროექტის მიზანია ადმინისტრაციული პასუხისმგებლობა დააწესოს ფალსიფიცირებული, არარეგისტრირებული და ვადაგასული ვეტერინარული დანიშნულების პრეპარატების რეალიზაციისა და შენახვის წესების დარღვევისათვის, კერძოდ, ფალსიფიცირებული, არარეგისტრირებული და ვადაგასული ვეტერინარული დანიშნულების პრეპარატების რეალიზაციისა და ვეტერინარული დანიშნულების პრეპარატების შენახვის წესების დარღვევა გამოიწვევს ადმინისტრაციულ პასუხისმგებლობას ათასი ლარის ოდენობით.

ა.გ) კანონპროექტის ძირითადი არსი:

წარმოდგენილი კანონპროექტით კოდექსს ემატება 105⁴ მუხლი, რომელიც განსაზღვრავს ფალსიფიცირებული, არარეგისტრირებული და ვადაგასული ვეტერინარული დანიშნულების პრეპარატების რეალიზაციისა და შენახვის წესების დარღვევისათვის ადმინისტრაციულ პასუხისმგებლობას ათასი ლარის ოდენობით, ხოლო განმეორებით ჩადენილი ქმედებისათვის სამი ათას ლარის ოდენობით.

აგრეთვე, წარმოდგენილი პროექტით, 208-ე და 239-ე მუხლის 49-ე ნაწილში განხორციელებული ცვლილებებით, განისაზღვრა აღნიშნული სამართალდარღვევის განსჯადი და სამართალდარღვევის ოქმის შემდგენი ორგანოები, კერძოდ, რაიონული

(საქალაქო) სასამართლო განიხილავს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა საქმეს, ხოლო სამართალდარღვევათა შესახებ ოქმს შეადგენენ საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტროს შესაბამისი სამსახურის, აფხაზეთისა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკების, ქალაქებისა და რაიონების საამისოდ უფლებამოსილი პირები.

ბ) კანონპროექტის ფინანსური დასაბუთება

ბ.ა) კანონპროექტის მიღებასთან დაკავშირებით აუცილებელი ხარჯების დაფინანსების წყარო:

კანონპროექტის მიღება არ გამოიწვევს ბიუჯეტიდან სახსრების გამოყოფას.

ბ.ბ) კანონპროექტის გავლენა ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილზე:

კანონპროექტის მიღება მოახდენს გავლენას ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილზე. კერძოდ, ფალსიფიცირებული, არარეგისტრირებული და ვადაგასული ვეტერინარული დანიშნულების პრეპარატების რეალიზაცია ან ვეტერინარული დანიშნულების პრეპარატების შენახვის წესების დამრღვევი ადმინისტრაციული ჯარიმის სახით სახელმწიფო ბიუჯეტის სასარგებლოდ გადაიხდის ჯარიმას ათასი ლარის ოდენობით, ხოლო აღნიშნული ქმედების განმეორებით ჩადენის შემთხვევაში სამი ათასი ლარის ოდენობით. თუმცა, ამ ეტაპზე იმის განსაზღვრა, თუ კონკრეტულად რა ოდენობით მოხდება ბიუჯეტის ზრდა, შეუძლებელია, ვინაიდან აღნიშნული ზრდა დამოკიდებული იქნება სამართალდარღვევების რაოდენობაზე.

ბ.გ) კანონპროექტის გავლენა ბიუჯეტის ხარჯვით ნაწილზე:

კანონპროექტის მიღება არ მოახდენს პირდაპირ გავლენას ბიუჯეტის ხარჯვით ნაწილზე. იგი განისაზღვრება ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილზე კანონპროექტის გავლენის პროპორციულად.

ბ.დ) სახელმწიფოს ახალი ფინანსური ვალდებულებები:

კანონპროექტის მიღება არ წარმოშობს სახელმწიფოს ახალ ფინანსურ ვალდებულებებს.

ბ.ე) კანონპროექტის მოსალოდნელი ფინანსური შედეგები იმ პირთათვის, რომელთა მიმართაც ვრცელდება კანონპროექტის მიღება:

კანონპროექტი გამოიწვევს გარკვეულ ფინანსურ შედეგებს იმ პირთა მიმართ, რომლებიც ჩაიდენენ კანონპროექტით განსაზღვრულ ადმინისტრაციულ სამართალდარღვევას. კერძოდ, ფალსიფიცირებული, არარეგისტრირებული და

ვადაგასული ვეტერინარული დანიშნულების პრეპარატების რეალიზაცია ან ვეტერინარული დანიშნულების პრეპარატების შენახვის წესების დამრღვევი ადმინისტრაციული ჯარიმის სახით სახელმწიფო ბიუჯეტის სასარგებლოდ გადაიხდის ჯარიმას ათასი ლარის ოდენობით, ხოლო აღნიშნული ქმედების განმეორებით ჩადენის შემთხვევაში სამი ათასი ლარის ოდენობით. ამავდროულად, კანონპროექტით ადმინისტრაციული სახდელის სახედ განსაზღვრულია სამართალდარღვევის საგნის კონფისკაცია.

ბ.ვ) კანონპროექტით დადგენილი გადასახადის, მოსაკრებლის ან სხვა სახის გადასახდელის ოდენობის განსაზღვრის წესი (პრინციპი):

კანონპროექტით ადმინისტრაციული სამართალდარღვევისათვის ადმინისტრაციული სახდელის სახედ დგინდება ჯარიმა ათასი ლარის ოდენობით, ხოლო განმეორებით ჩადენის შემთხვევაში სამი ათასი ლარის ოდენობით. ჯარიმების აღნიშნული ოდენობა განისაზღვერა შესაბამისი ადმინისტრაციული სამართალდარღვევის სიმძიმის ხარისხის პროპორციულად.

გ) კანონპროექტის მიმართება საქრთაშორისო სამართლებრივ სტანდარტებთან.

გ.ა) კანონპროექტის მიმართება ევროკავშირის დირექტივებთან:

კანონპროექტი არ ეხება ევროკავშირის დირექტივებს.

გ.ბ) კანონპროექტის მიმართება საქრთაშორისო ორგანიზაციებში საქრთველოს წევრობასთან დაკავშირებულ ვალდებულებებთან:

კანონპროექტი არ ეხება საერთაშორისო ორგანიზაციებში საქრთველოს წევრობასთან დაკავშირებულ ვალდებულებებს.

გ.გ) კანონპროექტის მიმართება საქრთველოს ორმხრივ და მრავალმხრივ ხელშეკრულებებთან:

კანონპროექტი არ ეწინააღმდეგება საქრთველოს ორმხრივ და მრავალმხრივ ხელშეკრულებებს.

დ) კანონპროექტის მომზადების პროცესში მიღებული კონსულტაციები:

დ.ა) სახელმწიფო, არასახელმწიფო ან/და საერთაშორისო
ორგანიზაცია/დაწესებულება, ექსპერტები, რომლებმაც მონაწილეობა მიიღეს
კანონპროექტის შემუშავებაში:

კანონპროექტი შესათანხმებლად დაგზავნილ იქნა სამინისტროებში.

დ.ბ) კანონპროექტის შემუშავებაში მონაწილე ორგანიზაციის (დაწესებულების)
ან/და ექსპერტის შეფასება კანონპროექტის მიმართ, ასეთის არსებობის შემთხვევაში;
კანონპროექტს არ ახლავს ექსპერტების წერილობითი შეფასება.

დ.ბ) კანონპროექტის ავტორი:

კანონპროექტის ავტორია საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტრო.

დ.გ) კანონპროექტის ინიციატორი:

საქართველოს მთავრობა.